შეფასებისა და გამოცდების
ეროვნული ცენტრი

ტესტი ლიტერატურაში

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ლიტერატურის ტესტი ორი ნაწილისაგან შედგება: I. ქართული ლიტერატურა; II. წერითი დავალება.

დაკვირვებით წაიკითხეთ ყოველი დავალების პირობა.

ორივე წერითი დავალების შესრულება სავალდებულოა.

ტესტის მაქსიმალური ქულაა - 80.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 4 საათი და 15 წუთი

გისურვებთ წარმატებას!

I. ქართული ლიტერატურა

(1) 1. ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში „შუშანიკის წამება“ იაკობ ხუცესი მოგვითხრობს:

„ხოლო ცოლმან ჯოჯიკისმან მიართუა ღვინოი ჭიქით და აიძულებდა მას, რაითამცა იგი ხოლო შესუა“.

რა უთხრა ამის საპასუხოდ დედოფალმა ჯოჯიკის ცოლს? (*შეგიძლიათ უპასუხოთ ციტატითაც*)

(1) **2. თხზულებაში „წამებაი წმიდისა და ნეტარისა ჰაბოისი“ ვკითხულობთ:**

„ყოვლად ძლიერმან ღმერთმან უფროის გამოაჩინა ძალი თვისი და პატივ-სცა თვისსა მას მარტვილსა და აჩუენა სასწაული საკვირველი...“

რა სასწაული „აჩუენა“ ღმერთმა ხალხს? (*შეგიძლიათ უპასუხოთ ციტატითაც*)

(1) **3. გაიხსენეთ გიორგი მერჩულის თხზულება „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“.**

რა განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის ეფრემ მაწყვერელს საქართველოს ეკლესიის წინაშე?

(6) 4. გაიხსენეთ ქაჯეთის ციხის აღების ეპიზოდი შოთა რუსთველის პოემიდან „ვეფხისტყაოსანი“.

1. რა გეგმა შესთავაზა ციხის ასაღებად მეგობრებს ფრიდონმა?
2. რა გეგმა შესთავაზა ციხის ასაღებად მეგობრებს ავთანდილმა?
3. რა მიზეზით დაიწუნა ტარიელმა ფრიდონისა და ავთანდილის გეგმები?
4. რა გეგმა შესთავაზა ციხის ასაღებად მეგობრებს თვითონ ტარიელმა?
5. კონკრეტულად რას გულისხმობს ავტორი მეტაფორულ ნათქვამში: „მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა“?
6. რა „უმძიმდა“ ფრიდონს, მიუხედავად სასახელო გამარჯვებისა?

(2) **5. წიგნში „დავითიანი“ ვკითხულობთ:**

„მომხსენებელი არ მრჩების, მაშფოთებს, ეს მაღონებსა.
ცოდვის მუხრუჭით შეკრულსა, ვამე, ვინ მამიფონებსა?
თუ არ შევკრებ და არ უძღვნი ყრმათ ია-ვარდის კონებსა,
ცოცხალიც არვის ვახსოვარ, მკვდარს ვინღა მამიგონებსა?!“

1. რა იწვევს ავტორის გულისტკივილს? (*ციტირება დაუშვებელია!*)
2. რა იგულისხმება „ია-ვარდის კონებში“?

(2) 6. გაიხსენეთ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი „ვპოვე ტაძარი“.

1. რამ განაპირობა ტაძრის განადგურება? (*შეგიძლიათ უპასუხოთ ციტატითაც*)
2. ლირიკული გმირის რა განწყობილებაა გამოხატული ლექსის ფინალურ სტროფში?

(2) 7. გაიხსენეთ ილია ჭავჭავაძის ლექსი „ჩემო კალამო“.

1. რას გამოხატავს ამ ლექსში „ტაში“?
2. რას აბრალებდნენ თანამედროვეები ავტორს? (*შეგიძლიათ უპასუხოთ ციტატითაც*)

(2) **8. გაიხსენეთ აკაკი წერეთლის პოემა „გამზრდელი“.**

1. რით ამართლებს ბათუ საფარ-ბეგის უკადრის განზრახვას - მოიპაროს ალმასხიტის ცხენი? (შეგიძლიათ უპასუხოთ ციტატითაც)

2. რა უთხრა ბათუმ საფარ-ბეგის მიერ შეურაცხყოფილ მეუღლეს? (*შეგიძლიათ უპასუხოთ ციტატითაც*)

(2) 9. გაიხსენეთ ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა „ხევისბერი გოჩა“.

1. მტრის დამარცხების შემდეგ რას აბრალებდნენ მოხევეები გუგუას?
2. რა განაჩენი გამოუტანეს გუგუას მსაჯულებმა?

(3) **10. გაიხსენეთ ვაჟა-ფშაველას პოემა „ბახტრიონი“.**

1. რატომ ამბობს კვირია: „ოც წელს სრულ სხვის შვილადა ვარ, სამშობლო გამიწირია“?
2. რა იფიქრეს მოლაშქრეებმა, როდესაც კვირიას გაუჩინარება შეამჩნიეს?
3. რა განზრახვით მიატოვა კვირიამ თანამებრძოლები?

(2) 11. გაიხსენეთ ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობა „შელოცვა რადიოთი“.

1. რა შეურაცხყოფა არ აპატია ელიმ თავის პირველ მეუღლეს, გრაფ ბორენკოვს?
2. რა სთხოვა ელიმ ბრომლეის გველებთან ცეკვის სანაცვლოდ?

(1) **12. მიხეილ ჯავახიშვილის რომანი „ჯაყოს ხიზნები“ მთავრდება სიტყვებით:** „ისევ დაყუდებულ შიო მღვიმელივით იცდის თეიმურაზ ხევისთავი“.

ვის (*ან რას*) უცდის თეიმურაზ ხევისთავი? *(შეგიძლიათ უპასუხოთ ციტატითაც)*

(1) 13. გალაკტიონ ტაბიძის ლექსში „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“ ვკითხულობთ:

„დასტკბი! ასეა ყველა მგოსნები?
შენს მოლოდინში ასეა ყველა?
სული, ვედრებით განაოცები,
შენს ფერხთქვეშ კვდება, როგორც პეპელა“.

ამოიწერეთ ის მონაკვეთი, რომელშიც ავტორი შედარებას იყენებს.

(2) 14. გაიხსენეთ გურამ რჩეულიშვილის მოთხრობა „ალავერდობა“.

1. რატომ წერს ავტორი, რომ ალავერდობა „ინტერნაციონალური ხასიათისა“ იყო?
2. რა იწვევს მთავარი პერსონაჟის პროტესტს ალავერდობის დღესასწაულზე?

(2) **15. ტიციან ტაბიძის ლექსში „ანანურთან“ ვკითხულობთ:**

„გარჩენილი ვარ ქვებზე კალმახი
და ახეული მაქვს ლაყუჩები,
შემართულია ფეხზე ჩახმახი
და უსიკვდილოდ ვერ გადვურჩები“.

1. რის გამო შეიძლება ამ სტროფს წინასწარმეტყველური ვუწოდოთ?
2. რომელი მხატვრული საშუალებაა გამოყენებული პირველ სტრიქონში?

II. წერითი დავალებები

ინსტრუქცია:

ყურადღებით გაეცანით დავალებებს და გაიაზრეთ ისინი.

თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული, **დაიწერება 0 ქულა და ნაწერი აღარ გასწორდება.**

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი. გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ, ფრჩხილებში ნუ ჩასვამთ და ნურც დაჯღაბნით.

თითოეული წერითი დავალების მაქსიმალური ქულაა 25.

დავალება N 1

ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებში“ რუსი ოფიცერი ესაუბრება მთხრობელს:

- აი, ბატონო, რუსეთში მებატონეებს ყმები ჩამოართვეს. მებატონეს ბიჭი აღარ შერჩა. მოჯამაგირეს ანაბარა დარჩა. შეწუხდა ქვეყანა, მოჯამაგირეებმა დაუწყეს ყველაფერს სახლში პარვა. მე, როგორც გულმტკივნეული შვილი, ჩავუფიქრდი ამ ჩემის ქვეყნის მწუხარებას, - ვთქვი: ქვეყანას შველა უნდა-მეთქი. მადლობა ღმერთს, ვუშველე კიდეც. ასეთი რამ მოვიგონე, რომ მოჯამაგირეს სახლში პარვა აღარ შეუძლიან. ერთმა უბრალო შემთხვევამ კი მაპოვნინა წამალი. ჩემი დენშჩიკი ფრიად დიდი ქურდი იყო, საშაქრეში შაქარს აღარ უშვებდა. ვიფიქრე, ვიფიქრე, როგორ ვუშველო ამ საქმეს-მეთქი. დავიწყე ყუთის დაკეტა, მაგრამ ხან დაკეტა დამავიწყდებოდა ხოლმე, ხან გასაღები სტოლზედ დამრჩებოდა ხოლმე, და როცა სახლიდამ გავიდოდი, დენშჩიკი შაქარს მომპარავდა. ბოლოს ავიღე, ორი ბუზი დავიჭირე და ჩავსვი საშაქრეში, თავი დავხურე და არ დავკეტე კი. ახლა მკითხავ - რისთვისაო? იმისთვისა, რომ თუ დენშჩიკი კიდევ შაქრის მოპარვას დააპირებდა, ხომ ყუთი უნდა გაეღო. რაკი ყუთს თავს ახდიდა, ბუზები მაშინვე ამოფრინდებოდნენ. მერე, როცა შინ მოვიდოდი, ავხდიდი ყუთს და შიგ რაკი ბუზებს აღარ ვნახავდი, აშკარა იქნებოდა, რომ ყუთის თავი აუხდია ვისმე. ვინ ახდიდა, თუ არა ჩემი დენშჩიკი. რაკი ეს გამოვიგონე, მე დენშჩიკი შაქარს ვეღარ მპარავს. ეხლა, ყოველ დილას ჩაის გავათავებ თუ არა, ოთახში ბუზებს ვიჭერ. დავიჭერ ბუზებს, ჩავსვამ შაქრის ყუთში და მთელი დღე არხეინადა ვარ: ვიცი, რომ არავინ მომპარავს. როგორ მოგწონთ ჩემი აზრი? იაფი და ქურდობის უებარი წამალია. ეგ წამალი ყველაფერში იხმარება, რასაც კი ჩვენს ოჯახობაში ყუთში ვინახავთ ხოლმე. ეს აზრი ჯერ არავისათვის არ გამიმჟღავნებია, მაგრამ თქვენი ქვეყანა ისე მიყვარს, რომ თქვენ ეგ გაცნობეთ და გთხოვთ - თქვენც გაუნათლებელ მებატონეებს აცნობოთ. ერთი ეს არის, რომ არყის ქურდობას ჯერ ვერა ვუშველე-რა. არყის ბოთლშიაც კი ვცადე ბუზების ჩასმა, მაგრამ ეგ წყეულები შიგ ირჩობიან - Губа не дура. მაგრამ მაგის წამალსაც მალე მოვიგონებ. არა, როგორ მოგწონთ ჩემი ოსტატობა? ფრანსიელებმაც იციან ხოლმე მაგისთანა ეშმაკობის მოგონება, მაგრამ

იმათის მაშინების ყიდვა ძვირია. ეს ჩემი ოსტატობა კი გროშიც არ დაჯდება. აბა რა არის ორი ბუზის დაჭერა და ყუთში ჩასმა? დიდი არაფერი. აბა ეხლა ჰნახეთ, რა შედეგი ექნება ამ ჩემ მოგონილ საქმეს: ეს ჩემი ოსტატობა რომ გავრცელდება, მაშინ შეიძლება რომ ბუზების სყიდვა დაიწყონ. აი, ქვეყანაში ახალი აღებ-მიცემობაც გაჩნდება: ჩაივლით ერთს მშვენიერ დილას თქვენს ქალაქში და დაინახავთ ბუზების მაღაზიასა. ცუდია თუ? რამდენი მშიერი კაცი ლუკმას იშოვნის ბუზების მეოხებითა. ეხლა კი ბუზები რანი არიან? არაფერი. რის გამოსადეგნი არიან? არაფრისა. აი, მეცნიერის და ჭკვიანის კაცის ნამოქმედებსა და ნაღვაწლს რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნისათვის. მე აქ არ მოვდიოდი, თუმც კი ბევრს მეხვეწებოდნენ. ჩემს გულში ვამბობდი: ღმერთს თუ ნიჭი მოუცია რამე ჩემთვის, ისევ ჩემებს გამოვადგე-მეთქი, მაგრამ ამ ახლად დაჭერილ ქვეყნებს უფრო განათლება უნდა-მეთქი; აქ განათლებული კაცები საჭირონი არიან. აბა ცოტა ხანი მოიცადეთ, რა მოხდება. მე ხომ, ზევით რომ ვთქვი, ის მოვიგონე, ეხლა სხვა ჩემისთანა სხვას მოიგონებს, იქნება იმისთანა კაციც გამოვიდეს, რომ თქვენს ქალაქშიაც იზლერის ბაღი გამართოს: მეცნიერის კაცისათვის ყველაფერი შესაძლოა. ამ ყოფითა მთელის პეტერბურგის განათლება აქ გადმოვა. მაშინ ჰნახავთ, რომ ერთს მშვენიერს დღეს სეირნობა გაიმართება იზლერის ბაღში, იმ ბაღში თქვენი ქალები თამამად სიარულს დაიწყებენ, გინდა ერთს უთხარ „შენი ჩირიმე“, გინდა მეორეს, ხმასაც არ გაგცემენ. აბა ხალხი მაშინ დაინახავს თავისს სამოთხეს, როგორც მეცნიერნი იტყვიან, ესე იგი, სამოთხე რომ მდაბიურად ვთქვათ... მაგრამ რა ვთქვათ, მდაბიურადაც სამოთხე სამოთხეა. ხომ გესმით?

- ძალიან კარგად.

აკა მორჩილაძის მოთხრობაში „ჰოლმსის საშაქრე“ დოქტორი უოტსონი გვიამბობს, როგორ წამოვიდა შერლოკ ჰოლმსის საძებნელად კავკასიაში და ლარსის სადგურში მოხვდა:

ბოლოს და ბოლოს... შვებით ამოვისუნთქე და შევედი ლარსის სადგურში, სადაც ჩაის სვამდნენ ჩემი ახალგაზრდა თანამგზავრი და ერთი სრულიად უცნობი და გაქუცული ოფიცერი. ახალგაზრდა კაცმა, რომლის გვარის გამოთქმაც ახლა

გამიჭირდება, სუფრასთან მიმიწვია. ოფიცერმა თამამად ჩამომისხა ჩაი და უცერემონიოდ განაგრძო საუბარი ჩემთვის უცნობ და ალბათ რუსულ ენაზე.

ჩაი კი ჩამომისხა, მაგრამ მისი დალევა ჩემთვის შეუძლებელი შეიქნა, რადგან სითხე თხელ, გამჭვირვალე ჭიქაში, სწორედ რომ ჭიქაში და არა ფინჯანში იყო და ამ ჭიქას ყური არ ჰქონდა. მე კი, რა გასაკვირია და, თითები მოკალული არ მქონდა. გულისხმიერმა ახალგაზრდა კაცმა ჩემი გაჭირვება ამოიცნო და ჭიქიდან ლამბაქზე გადმომისხა ჩაი, ეს რუსული წესია და ასე დალიეო.

ისინი საუბარს განაგრძობდნენ, მე კი ლამბაქიდან ვხვრეპდი ჩაის.

ჰოლმსისა არაფერი ისმოდა. არც ჩემი მეგობარი ჩანდა, არც მისგან გამოგზავნილი წერილი, არც ცხენი. ახალგაზრდა წუთი წუთზე ელოდა ცხენებს, რათა სამხრეთისაკენ წასულიყო. ფრანგს მართლაც რომ ჰერცოგულად დაუხვდა ეკიპაჟი და წავიდა. გაქუცული ოფიცერი კი იქვე ახლოს მსახურობდა.

მათი ლაპარაკის მე არაფერი მესმოდა, მაგრამ ჩანდა, ოფიცერი ცნობისმოყვარეობას შეეპყრო და ხშირად გამოაპარებდა ხოლმე ჩემსკენ თავის უფერო თვალებს.

ბოლოს ახალგაზრდა კაცმა ღიმილით მომმართა:

- ამ ბატონს აინტერესებს, ვინა ხართ. ატყობს, რომ ევროპელი ბრძანდებით და დიდ სიამოვნებას მოჰგვრის თქვენთან გასაუბრება. თარჯიმნად მე გამამწესა და არც ვიცი, როგორ გამომივა ეს საქმე. თანახმა ხართ?

მე მივუგე, რომ მედიდური კაცი არ გახლავართ, მაგრამ დაღლილი ვარ, თანაც, წერილის ან ცხენის მომლოდინე, და ვეჭვობ, საუბარი საინტერესო გამომივიდეს.

- არა უშავს, - ტაში შემოჰკრა ოფიცერმა და ახალგაზრდა კაცის მეშვეობით დამეკითხა: - სადაური ხართ?

- ინგლისელი, - მივუგე მე.

- ოო, დიდად მეამა, რომ ინგლისელი ხართ, - პაპიროსი გააბოლა მან. - რაც კი ცხოვრებაში ინგლისელი მინახავს, ყველა ჭკვიანი გამომდგარა. მეორე ინგლისელი ხართ, ვისაც შევხვედრივარ... ახლა მითხარით, ვინ ითვლება ინგლისში ყველაზე გამოჩენილ კაცად?

- ძნელი სათქმელია, - აბა როგორ უპასუხებ ასეთ სულელურ შეკითხვას?

- ახლა ინგლისს მეფე ჰყავს თუ დედოფალი?

- დედოფალი.

- მაშ, საწყენად ნუ მიიღებთ და ქალების ხელმწიფობისა მე არა მწამს. ქალი ჩექმას ვერ ჩაიცმევს და თქვენს სახელმწიფოს რომ ომი მოუხდეს, ჯარს ვინ გაუძღვება?

- ჩვენს სამეფოს ყოველთვის ომი აქვს და გენერლები ღირსეულად უძღვებიან საქმეს.

- ყოველთვის ომი აქვს? მაშ, ძლიერი ქვეყანა ყოფილა.

- რუსეთზე ძლიერი კი არის, - მითხრა ახალგაზრდა კაცმა, - კარგი ქვეყანაა, მაგრამ რატომ სტანჯავს ირლანდიას?

- მე ექიმი ვარ, - ვუპასუხე მას, - მე ყოველ ავადმყოფს ერთნაირად მოვუვლი.

როგორ შეიტყო ოფიცერმა, რომ მე ექიმი ვარ, ძნელი სათქმელია. მან წვეროსან ახალგაზრდას ხელი წაატანა და რაღაც უთხრა.

- მეჭეჭი ჰქონია და როგორ მოვირჩინოო? - გადმომცა შეკითხვა ახალგაზრდამ.

- ძმარმჟავა უნდა დაიწვეთოთ ან ცარცი წაისვათ.

უთარგმნა თუ არა ახალგაზრდამ ეს სიტყვები ოფიცერს, ეს უკანასკნელი ზეწამოიჭრა და მხურვალედ ჩამომართვა ხელი.

- მე ყოველთვის ვამბობდი, რომ ინგლისელები ჭკვიანი ხალხია! - შესძახა მან. - ცხოვრებაში მეორე ინგლისელი ვნახე და მანაც ბრძნულად მირჩია. აჰ, რა ხალხია ეს ინგლისელები...

- პირველმა რა გირჩიათ? - ვკითხე უაზროდ.

- პირველმა ქურდების გამოჭერის ხერხი მასწავლა. ეჭვი მქონდა, რომ ჩემი დენშჩიკი შაქარს მპარავდა, მაგრამ როგორ ვამხელდი? იმ ინგლისელმა მითხრა, საშაქრეში ცოცხალი ბუზი ჩასვი და როცა მას თავს ახდი, თუ ბუზი ამოფრინდება, დარწმუნდები, რომ შაქარი არავის მოუპარავს, თუ არაფერი ამოფრინდა, მიხვდები, რომ დენშჩიკს უეშმაკნიაო!.. აი, ასეთი ჭკვიანი კაცი იყო...

ამ სიტყვებზე სადგურის კარი ხმაურით გაიღო და ოთახში შემოვარდა ახოვანი, წარმოსადეგი ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ხელში კომბალი ეჭირა, კეფაზე კი ჩერქეზული ქუდი მოეგდო. ის მოხდენილი მოძრაობით გამოექანა ჩვენი მაგიდისაკენ და ჩემს გვერდით მჯდომ წვეროსან ახალგაზრდას გადაეხვია.

- ილიკო! - შესძახა მან.

- სანდრო! - გაეხარდა ჩემს თანამგზავრს.

ხვევნა-კოცნას რომ მორჩნენ, ჩემმა თანამგზავრმა მოწიწებით წარმადგინა:

- ბატონი უოტსონი, ინგლისიდან! ეს კი, - მომიბრუნდა მე,- აქაური მეცხვარეა, სანდრო [ყაზბეგი]... ჩემი ძველი ნაცნობი.

- რამ გადმოგაგდოთ ჩვენს მხარეში? - ეს კაცი საუცხოოდ ფლობდა ჩვენს ენას...

- ეეე, - გამიკვირდა მე, - საჭიროებამ...

- ნუ გიკვირთ, ჩვენში ყოველი მეცხვარე ლაპარაკობს თქვენს ენაზე, - მერე კი ოფიცერს შეხედა თვალების ბრიალით, - ამას რა უნდა აქ?

- დაწყნარდი, სანდრო, ჩემი ხათრით, - ფრანგულად მიეფერა ჩემი თანამგზავრი, - ჩაიზე დავპატიჟე.

- რუსის დაპატიჟება როგორ შეიძლება? მასპინძლად გაგიხდება...

- ასეც იყო, - გამეცინა მე და საათი ამოვიღე. შუადღე სრულდებოდა.

როდემდე უნდა ვმჯდარიყავი ამ უბადრუკ ადგილას?

ეჰ, ჰოლმს, ჰოლმს...

გააანალიზეთ მოცემული ტექსტები შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ რუსი ოფიცრის მხატვრული სახის შესახებ ორივე ტექსტის შედარების საფუძველზე;
- იმსჯელეთ ამ ორი ტექსტის ურთიერთმიმართების შესახებ (ყურადღება მიაქციეთ - რა ამსგავსებს და რა განასხვავებს მათ ერთმანეთისაგან);
- იმსჯელეთ ავტორთა მიერ გამოყენებული მხატვრული საშუალებების შესახებ (ყურადღება მიაქციეთ თხრობის სტილსა და თავისებურებებს).

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

დავალება N 2

გაზეთ „სახალხო ფურცლის“ 1915 წლის ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნდა წერილი „ვაჟა-ფშაველა“, რომელშიც ვკითხულობთ:

„ვერც სემინარიის კურსმა, ვერც უნივერსიტეტის ლექციებმა ვაჟა-ფშაველას თანამედროვე სული ვერ ჩაუდგეს... ელექტრონისა, ორთქლმავლისა და მანქანების ხანაში ის წარსულის აჩრდილს ჰგავდა თავისი ჩაფხუტით და თავისი რაინდობით... ის მთელი არსებით იმ მივარდნილ და შეუპოვარ მთიანეთს ეკუთვნოდა, რომელიც ჯერ კიდევ ჯვაროსნობის დროის იდეებით ცხოვრობს კაპიტალისტურ ხანაში. იმ მთების მწვერვალებიდან მას გადაგვარებად ეჩვენებოდა ის, რაც ჩვენ საზოგადოებრივ განვითარებად მიგვაჩნია... ის ლიტერატურული ტრადიციების გარეშე იდგა: გაუტკეპნელი გზით დადიოდა და უცნაურ მხატვრულ ენას ხმარობდა, ჯერ რომ არავის უხმარია ქართულს ლიტერატურაში...“

არგუმენტირებული მსჯელობით დაასაბუთეთ ან უარყავით ეს მოსაზრება:

- იმსჯელეთ, ეთანხმებით თუ არა მოცემულ თვალსაზრისს და დასაბუთებისას არგუმენტები მოიხმეთ სკოლაში შესწავლილი რომელიმე მხატვრული ნაწარმოებიდან.
- იმსჯელეთ თქვენ მიერ დამოწმებული ტექსტის მხატვრული ღირსებების შესახებ.
- ჩამოაყალიბეთ თქვენი პიროვნული პოზიცია წამოჭრილი პრობლემის მიმართ (მსჯელობისას შეგიძლიათ გამოიყენოთ სხვა მხატვრული ნაწარმოები, ფილმი, სპექტაკლი, ცხოვრებისეული გამოცდილება და ა. შ.).

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!